ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 250

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №81.01.05.883.01.501 და №81.01.05.883.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდები: №81.01.05.883.01.501 და №81.01.05.883.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1023.1276 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №10-ში, პირველ სართულზე მდებარე 91.12 კვ.მ. და მე-2 სართულზე მდებარე 85.05 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №81.01.05.883.01.501 და №81.01.05.883.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე სვეტლანა კენკებაშვილისთვის (პ/ნ: 12001030760) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე